

თავი 14 პროექტის საერთო შეფასება



სარჩევი

14	პროექტის საერთო შეფასება	14-1
14.1	შესავალი.....	14-1
14.2	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემუშავება.....	14-1
14.2.1	მიღებული პროცესი	14-1
14.2.2	ESIA პროცესის გამოწვევები.....	14-2
14.3	საკითხები, რომლებიც წარმოიშვა ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების შედეგად	14-2
14.3.1	იდენტიფიცირებული საკითხები.....	14-2
14.3.2	დაუგეგმავი მოვლენები	14-6
14.3.3	საკითხები, რომლებიც საჭიროებს დასრულებას.....	14-7
14.3.4	ESIA სხვა საკვანძო საკითხები	14-7
14.4	განცხადება პროექტის შეფასების შესახებ.....	14-8

ცხრილები

ცხრილი 14-1:	საკვანძო ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება.....	14-3
--------------	---	------

14 პროექტის საერთო შეფასება

14.1 შესავალი

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი (WREP-SR) წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევებისა და მთელი რიგი ტექნიკური ალტერნატივების დეტალური შეფასების შედეგს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამოქმედო პროგრამა WREP-ის უწყვეტი და უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის. ეს კვლევები მოიცავდა მარშრუტის გასწვრივ ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეზღუდვებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, მილსადენის შეცვლილი მარშრუტის ალტერნატიული ვარიანტების შეფასებისა და მილსადენის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის სრულევანტური ფონური მდგომარეობის მონაცემების მოპოვების მიზნით.

14.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემუშავება

14.2.1 მიღებული პროცესი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით განხორციელდა WREP-SR პროექტისათვის. ESIA პროცესის მიზანი იყო, პროექტით გამოწვეული ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ყველა პოტენციური ზემოქმედების სრულყოფილი გამოკვლევის, ანგარიშგებისა და, სადაც საჭიროა, მართვის უზრუნველყოფა.

წინამდებარე ESIA განხორციელდა და ანგარიში მომზადდა, როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური პროცესი. შეფასების პროცესის დროს RSK Environment მჭიდროდ თანამშრომლობდა “მელქვასა” და ACT Research-თან, ორ სპეციალიზებულ ქართულ საკონსულტაციო კომპანიასთან, ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტებთან.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული იქნა ESIA მიდგომა ევროსაბჭოს დირექტივის მიხედვით (2011/92/EU შეცვლილია 2014/52/EU-ით).

ESIA ფარგლებში განხორციელებული პროცესის დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ მისი ფარგლები განისაზღვრა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვითა და საჯარო კონსულტაციების მოწყობით. კონსულტაციების ძირითადი ამოცანა იყო ყველა დაინტერესებულ მხარეზე პროექტის შესაძლო ზემოქმედებების გააზრება, ასევე, მათი იდეებისა და მოსაზრებების მიღება ზემოქმედებების მართვასთან დაკავშირებით, რაც გავლენას იქონიებდა მილსადენის საინჟინრო დაპროექტებაზე, განხორციელებასა და შემდგომ საქმიანობაზე. ამ მიზნით შემუშავებული იქნა კონსულტაციებისა და საჯარო განხილვის გეგმა (PCDP), როგორც საზოგადოების მუდმივი ჩართულობისა და მონაწილეობის სტრუქტურული და პროცესზე პასუხისმგებელი ჩარჩო დკუმენტი, რომელიც დაიწყო 2009 წელს და რომელიც სავარაუდოდ გაგრძელდება პროექტის შემდგომი შემუშავებისა და განხორციელების დროს.

ESIA ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა, მჭიდროდ ეთანამშრომლა საინჟინრო დაპროექტების ჯგუფთან და BP-ის სახელით GPC-სთან. მათ საქმიანობას აერთიანებდა ერთი მიზანი – მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის პოტენციური ზემოქმედებების სრულყოფილი შეფასება და შერბილების ჩართვა საინჟინრო დაპროექტების პროცესში.

სამშენებლო ფაზის შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა წინამდებარე ESIA-ს ფარგლებში, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციით პროექტის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმებს და პროცედურებს. ასეთი გეგმების და პროცედურების შემუშავება ჩართული იქნება როგორც სახელმეკრულებო ვალდებულებები პროექტის სამშენებლო ფაზის ხელშეკრულებებში. საექსპლუატაციო ფაზის ვალდებულებები შეტანილი იქნება ოპერაციული მართვის გეგმებში.

14.2.2 ESIA პროცესის გამოწვევები

როგორც ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასებების დიდი ნაწილი, WREP-SR პროექტის ESIA-ს ჰქონდა გარკვეული გამოწვევები ზოგიერთ ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების პროგნოზის სანდოობისა და ასეთი ზემოქმედებების სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების თვალსაზრისით. ეს გამოწვევები გამომდინარეობს ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან:

- გაურკვევლობა, რაც უკავშირდება ფონური მდგომარეობის შესახებ დანაკლის ინფორმაციას. იქ სადაც წარმოიშვა ამგვარი სირთულეები, საფუძვლად გამოყენებული იქნა კამერალური კვლევის მონაცემებიან კვლევის წინასწარი მონაცემები, როგორც შუალედური საშუალება, ხოლო ESIA-მ ამის შედეგად მოახდინა იმ ადგილების იდენტიფიცირება, სადაც აუცილებელია წინასამშენებლო კვლევები და მონაცემების შემდგომი მოპოვება
- დეტალური საინჟინრო პროექტის განვითარება. თუმცა ESIA ზოგადად წარმოადგენს პროცესს, რომელიც პარალელურად მიმდინარეობს და იკვეთება დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენასთან, ეს პროცესი ეყრდნობა პროექტის გარკვეულ მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს პოტენციური ზემოქმედებების იდენტიფიცირებას. შემოთავაზებული WREP-SR პროექტის მსგავსი მასშტაბისა და სირთულის პროექტებში გარდაუვალია ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხის არსებობა, რაც გადაწყდება უშუალოდ საპროექტო საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე. ამ საკითხების უმრავლესობა, თუ ყველა არა, უკავშირდება მშენებლობას და ამიტომ უმეტესწილად ხანმოკლეა. ეს საკითხები ქვემოთაა განხილული
- ზემოქმედებების პროგნოზის სანდოობა. კვლევის ზოგიერთი შედეგის გაურკვევლობის დონის აღიარებით, წინამდებარე ESIA-ში იდენტიფიცირებული ზემოქმედებების მნიშვნელობის დონე გახდება ზომიერი იმ შემთხვევებში, როცა არსებობს გაურკვევლობა (ე.ი. მათი მნიშვნელობა შეიძლება გადაჭარბებით იქნას მოცემული).

14.3 საკითხები, რომლებიც წარმოიშვა ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების შედეგად

14.3.1 იდენტიფიცირებული საკითხები

წინამდებარე ESIA-ს ფარგლებში განხორციელდა თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის ამსახველი, სპეციალურად პროექტისათვის შემუშავებული სტრუქტურული ზედაპირული კრიტერიუმებით ყველა პოტენციური ზემოქმედების

იდენტიფიცირებისა და მათი მნიშვნელობის შეფასების პროცესი, დადგინდა და შეჯამდა ყველა ნარჩენი ზემოქმედება და სარგებელი გადაწყვეტილების მიმღებთათვის პროექტთან დაკავშირებული საკითხების აღქმის გაადვილების მიზნით. ნარჩენი ზემოქმედებები ქვემოთაა შეჯამებულია (იხ. ცხრილი 14-1):

ცხრილი 14-1: საკვანძო ნარჩენი ზემოქმედებების შეჯამება

შედარებით მაღალი მნიშვნელობის მქონე ნარჩენი ზემოქმედებები
დასახლებების უსაფრთხოება
<ul style="list-style-type: none"> დასახლებებისთვის გაიზრდება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიიყენების რისკი, ვინაიდან გაიზრდება საგზაო მოძრაობა
საშუალო მნიშვნელობის მქონე ნარჩენი ზემოქმედებები
ეკოლოგია
ჰაბიტატები და დაცული ტერიტორიები
<ul style="list-style-type: none"> ისეთი ჰაბიტატების დაკარგვა ან უკიდურესი შემფოთება, რომლებთანაც ასოცირდება დაცული ან მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე სახეობები (IUCN, GRL, CITES, კავკასიის ენდემი).
ლანდშაფტი
ვიზუალური ზემოქმედება
<ul style="list-style-type: none"> ლანდშაფტში ვიზუალური შეჭრა იმ უბნებში, სადაც მილსადენი კვეთს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბანთან ასოცირებულ, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონას (LPZ) ან მასთან ახლოს მდებარეობს (RR-001-ის ნაწილი და მისასვლელი გზები AR69, AR69a, AR69b და AR67).
წყლის რესურსები
ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები
<ul style="list-style-type: none"> WREP-SR მონაკვეთებით გადაკვეთილი ყველაზე სენსიტიური ზედაპირული მდინარეებია მდინარე ჯაჭვისხევი, რომელიც ჩაედინება მდინარე მტკვარში და მდინარე სუფსა. ამ ადგილებში წყლის ხარისხზე, მის ბიოლოგიურ ფლორაზე და დინების მიმართულებით მყოფ რეცეპტორებზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ შემდეგ მოვლენებს: <ul style="list-style-type: none"> ნავთობისგან დაცლის დროს ნედლი ნავთობის დაღვრა ზედაპირულ წყლებში ჰიდროტექსტის ან თხრილის წყლის ჩაშვება (დაბინძურება/დანალექის წარმოშობა) მცენარეული საფარის მოხსნის და/ან ნიადაგის შემფოთების შედეგად წარმოშობილი ნიადაგის ეროზიის გამო მდინარეებში დანალექების წარმოქმნა მდინარე სუფსას გადაკვეთის მშენებლობის დროს ბურღვის სითხეების შეკავების შესაძლებლობის დაკარგვა.
ნიადაგი
ეროზია
<ul style="list-style-type: none"> ნიადაგის ეროზიის ნარჩენი ზემოქმედება, როგორც წესი, დაბალი მნიშვნელობისაა, თუმცა ქედებსა და ციცაბო ფერდობებზე ზემოქმედება საშუალო დონეს უახლოვდება. მიუხედავად ამისა, მაღალი რისკის შემცველ უბნებში (ეროზიის კლასი 3-მე მაღალია) ნარჩენი ზემოქმედება მაინც უკეთესია ვიდრე მშენებლობამდე არსებული ეროზიის კლასი

კულტურული მემკვიდრეობა

არტეფაქტების შემფოთება

- კულტურულ მემკვიდრეობაზე არსებული ნარჩენი ზემოქმედება, ძირითადად დაბალი მნიშვნელობისაა, ხოლო დადებითი სარგებელი მაქსიმალურად იქნება გაზრდილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. გამონაკლისს წარმოადგენს RR-001-ის მცირე მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის ზონაში, სადაც ნარჩენი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის მქონეა და მიჩნეული.

სოციალური

მისასვლელი გზები

- საგზაო შემთხვევების გაზრდილი რისკი
- მძიმე ან გრძელი ტვირთის გადატანის დროს გზების გადატვირთვა და მოძრაობის შეფერხება, რაც გზის სხვა მოსარგებლებს პოტენციურ დაბრკოლებებს შეუქმნის
- გზის ზედაპირების ცვეთა და დეგრადაცია
- მისასვლელი გზების მტვრის, ხმაურის, ვიბრაციის ზემოქმედება, ასევე უსაფრთხოებასა და შემფოთებაზე ზემოქმედება განიხილება როგორც საშუალო მნიშვნელობის შემდეგ უბნებში:
 - AR63, რომელიც მიემართება სახლების გვერდით
 - AR – PRS1 20კმ-იანი გრუნტის გზა, რომელიც რამდენიმე სოფელსა და სკოლას გაივლის
 - AR223, რომელიც მიემართება სკოლის, მაღაზიის და საბავშვო ბაღის (2016 წლის თებერვლის მონაცემებით ბაღი მშენებლობის სტადიაზეა) გვერდით
 - AR225, რომელიც მიემართება საზაფხულო აგარაკების გვერდით
 - AR373, რომელიც მიემართება სახლების, მაღაზიის და ფერმის გვერდით
- ასევე მოსალოდნელია საშუალო მნიშვნელობის ნარჩენი ზემოქმედება უსაფრთხოებაზე შემდეგ მისასვლელ გზებზე:
 - ჯვრის მონასტერთან მისასვლელი გზა, რომლითაც სარგებლობენ ტურისტები და ავტობუსები

მილსადენის სამშენებლო ტერიტორიები

- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მტვრის, ხმაურის, ვიბრაციის, უსაფრთხოების და შეწუხების ზემოქმედებები მიჩნეულია საშუალო მნიშვნელობის მქონედ შემდეგ ადგილებში:
 - RP-001a კმნ1.0, სადაც შემოთავაზებული მარშრუტიდან 40მ მანძილზე მდებარეობს ქვის სახლი/ფერმა; ამ უძრავი ქონების მცხოვრებლებზე ასევე შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მიწის დანაწევრებამ
 - RR-001 კმნ0.0 და 2.0, სადაც სადაც შემოთავაზებული მარშრუტიდან 70მ მანძილზე მდებარეობს სახლები; საცხოვრებელ სახლებზე კმნ2.0-თან შესაძლოა ასევე განხორციელდეს ზემოქმედება მიწის დანაწევრების გამო
 - მდიანრე სუფსის და საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების ადგილი, სადაც 50მ მანძილზე მდებარეობს სახლი და ფერმა

დასახლებების უსაფრთხოება

- დასახლებების მცხოვრებთათვის გაიზრდება სხეულის დაზიანების რისკი, რამდენადაც სამშენებლო უბნებზე იარსებებს ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ღრმა გათხრები და თხრილები
- არსებობს უსაფრთხოების პერსონალსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის

<p>დამაბულობის წარმოშობის შესაძლებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> პროექტის მიერ მისასვლელის შეზღუდვების გამო პაციენტის სამედიცინო პუნქტში გადაყვანის დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს პაციენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება <p>ინფრასტრუქტურა</p> <ul style="list-style-type: none"> მესამე მხარის კუთვნილი ინფრასტრუქტურის შემთხვევით დაზიანებას შეიძლება მოჰყვეს სხვა მომხმარებლების მომარაგების დროებითი შეფერხება გზის ზედაპირის ცვეთა მძიმე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილების გამო. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, გზა აღდგება მშენებლობისწინა ან უკეთეს მდგომარეობამდე, რაც გამოიწვევს დადებით ზემოქმედებას (იხ. ქვემოთ) საცობები და სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება, განსაკუთრებით გრძელი ან მძიმე ტვირთების გადატანის დროს <p>დასაქმება</p> <ul style="list-style-type: none"> ძირითადად, მშენებლობის ფაზაში პროექტი მცირე დადებით ზემოქმედებას მოახდენს დასაქმებასა და შემოსავლებზე (როგორც ეს ქვემოთ არის აღნიშნული "სასარგებლო ზემოქმედებების" ქვეთავში), ექსპლუატაციის ფაზაში კი ზემოქმედება საერთოდ აღარ იქნება. სავარაუდოდ, აუცილებლად მოხდება ზოგიერთი ადამიანის განაწილება პროექტში მათი დასაქმების განუხორციელებელი მოლოდინის გამო. შესაბამისად, დასაქმების მოლოდინზე ნარჩენი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის მქონედ არის კლასიფიცირებული. <p>საარსებო წყაროები</p> <ul style="list-style-type: none"> შემოსავლებზე შესაძლოა დროებითი ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის შემცირების გამო, რასაც გამოიწვევს ნიადაგის დატყვანა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების ინციდენტების ზრდა. <p>საზოგადოებასთან ურთიერთობები</p> <ul style="list-style-type: none"> წყენა და აღშფოთება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მუშახელი გაიგებს, რომ უცხოელ მუშებს იგივე საკმიანობაში, აქვთ უფრო მეტი ხელფასი ან უკეთესი პირობები.
<p>ნავთობის შემთხვევითი დაღვრა</p>
<ul style="list-style-type: none"> ნავთობისგან დაცლის ან სექციების მომსახურებიდან ამოღების დროს თუ მილსადენის ინვენტარი ავარიულად დაკარგავს ნავთობის შეკავების უნარს ამან შესაძლოა გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების, ზედაპირული წყლების და ნიადაგის დაბინძურება. ამ სამუშაოების დაგეგმვისა და ნავთობის დაღვრაზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის განსასაზღვრის ინფორმირების მიზნით განხორციელდა რისკის შეფასება.
<p>სასარგებლო ზემოქმედებები</p>
<p>ნავთობის დაღვრის რისკი</p>
<p>ნავთობის დაღვრის რისკის შემცირება</p> <ul style="list-style-type: none"> პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება მილის გახეთქვის გამო ნავთობის დაღვრის საფრთხე. პროექტი აგრეთვე შეამცირებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს და ტრანსსასაზღვრე ზემოქმედებათა რისკებს

მიწის დაბინძურების გაწმენდა
<p>უკანონოდ დაყრილი ნაგავი</p> <ul style="list-style-type: none"> • გაწმენდასა და უკანონოდ დაყრილი ნაგავის განთავსება სათანადოდ ლიცენზირებულ ობიექტებზე სასარგებლო ზემოქმედებაა, რადგანაც ნარჩენების გარემოში გაფანტვის საფრთხე მცირდება. ამასთანავე, ნაგავის განთავსებით რისკი ადგილობრივ დასახლებებსა და სამშენებლო პერსონალზეც შემცირდება
კულტურული მემკვიდრეობა
<p>საბაზისო ცოდნის გაუმჯობესება</p> <ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერი გათხრის (გვიანი აღმოჩენების პროტოკოლის განხორციელებით), თანმდევი დოკუმენტირების და მშენებლობის დროს ნებისმიერი ნივთის პოვნის შედეგად ადგილობრივი არქეოლოგიის ცოდნის გაღრმავება სასარგებლო ზემოქმედებას წარმოადგენს
ეკოლოგია
<p>ტერიტორიები, სადაც მაღალია ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინტერესი</p> <ul style="list-style-type: none"> • თბილისის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე WREP-ის ყველა ის ძველი მონაკვეთის უბანი აღდგება, სადაც არ არის მათი გამოყენება საჭირო ინსპექციების ჩასატარებლად ან მესამე მხარის სატრანსპორტო საშუალებებისთვის
სოციალური
<p>საარსებო წყაროები</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ პირების შემოსავლის ზრდა, რომლებიც პროექტს სხვადასხვა საქონლით ამარაგებს, ან ფლობენ იმ მიწას, რომელსაც პროექტი დროებითი სამშენებლო უბნისთვის ან მულტიპლ სერვიტუტისთვის იყენებს <p>დასაქმება</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ დასახლებებში დამატებითი თანხების შედინება ხელფასების და ცხოვრების გაუმჯობესებული სტანდარტის გამო • ჩატარებული ტრენინგების გამო ადგილობრივი მუშახელის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. <p>ინფრასტრუქტურა და მომსახურებები</p> <ul style="list-style-type: none"> • მისასვლელი გზების ადრე არსებულ ან უკეთეს დონემდე აღდგენა. იმ შემთხვევაში, თუ გზები იმ მდგომარეობაზე უკეთ აღდგება, ვიდრე ადრე იყო, მაშინ ეს სასარგებლო ზემოქმედებად ჩაითვლება.

14.3.2 დაუგეგმავი მოვლენები

პროექტის მაღალი მნიშვნელობის მქონე ნარჩენ ზემოქმედებად იდენტიფიცირებულია (ბუნებრივ გარემოზე რისკის შეფასების დროს, მე-12 თავი) ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება, რაც შეიძლება მოხდეს მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნავთობისგან დაცლის ან მიწის მომსახურებიდან ამოღების სამუშაოების დროს შეკავების შემთხვევითი დარღვევის გამო. ამის მოხდენის ალბათობა ძალიან მცირეა, თუმცა შესაძლო შედეგები შეიძლება იყოს მაღალი მნიშვნელობის თუ გავრცელება მოხდება სენსიტიურ გარემოში.

14.3.3 საკითხები, რომლებიც საჭიროებს დასრულებას

ESIA ცნობს, რომ არსებობს საკმინობები, ძირითადად მშენებლობასთან დაკავშირებული, რომლებიც სრულად არ არის განსაზღვრული ამ ეტაპზე და შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვა ძირითადი სამშენებლო კონტრაქტორის შერჩევის და მათი სამუშაო გეგმების დეტალური დამუშავების შემდეგ.

ნარჩენების განთავსება

მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა და ტიპები წარმოადგენს მიმდინარე დეტალური საინჟინრო პროექტისა და მშენებლობის დროს EPC-ს და სხვა სამშენებლო კონტრაქტორების მიერ გამოყენებული სამშენებლო მეთოდოლოგიის შესწავლის საგანს. პროექტი ვალდებულია, განახორციელოს ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ნარჩენების მინიმუმზაციას წყაროზე, ყველა წარმოქმნილი ნარჩენის იდენტიფიკაციას, გადამუშავებისა და ხელმორედ გამოყენების მაქსიმუმზაციას, მხოლოდ ლიცენზირებული, სათანადო ტევადობის მქონე განთავსების ადგილების გამოყენებას, შემოწმებასა და აუდიტს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის აღწერებთან შესაბამისობას.

ინერტული და სხვა სამშენებლო მასალების მოპოვება

პროექტისთვის საჭირო იქნება ინერტული მასალის დიდი ოდენობა, რაც რაოდენობრივად აღწერილია წინამდებარე ანგარიშში, რამდენადაც ეს არის შესაძლებელი. ძირითადი ყურადღება გამახვილდება ამგვარი მასალების ტრანსპორტირების მინიმუმზაციაზე ინერტული და სხვა ნედლი მასალის ადგილობრივად (მარშრუტის გასწვრივ) მოპოვების გზით. პროექტი გამოიყენებს მხოლოდ შესაბამისი წარმადობის ლიცენზირებულ ობიექტებს. თუ პროექტისთვის საჭირო იქნება ახალი ობიექტები, ეს გახდება საქართველოს სტანდარტული ფორმალური სანებართვო პროცესის საგანი.

14.3.4 ESIA სხვა საკვანძო საკითხები

ბიომრავალფეროვნების დაცვა

მარშრუტისა შერჩევის დროს ძირითადი ყურადღება ექცეოდა ბუნებრივი გარემოს სენსიტიური ადგილების გვერდის ავლას და ამით იგი წარმატებული გამოდგა ამ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესამცირებლად. მაგალითად, შემოთავაზებული იქნა დაცვის შემდეგი ზომები:

- გვერდის ავლა ახალი მარშრუტის განსაზღვრით ან მიკროტუნელირების გზით (ახალი მარშრუტი ადგილობრივი მასშტაბით)
- მილსადენის სამუშაო სიგანის დავიწროება
- წინასამშენებლო კვლევები, ნებისმიერი სეზონური შეზღუდვების ზუსტი დროის განსაზღვრის მიზნით
- სეზონური შეზღუდვები (თუ არსებობს)
- საკომპენსაციო დარგვა და მიტოვებული დერეფნის ბიო-აღდგენა
- სახეობების გადატანა
- აღდგენის და ეკოლოგიური მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს ზოგად და უბნისთვის სპეციფიკურ მოთხოვნებს
- ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა

მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების დაცვა

ESIA ცნობს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების დაცვის მნიშვნელობას WREP-SR პროექტის განხორციელების დროს. ამ შეფასების ძირითადი საკითხები მილსადენის შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთებისთვის ქვემოთ არის მოცემული:

- ნავთობისგან დაცლა და მომსახურებიდან ამოღება რისკის შეფასებით და პროექტის საინჟინრო და სამშენებლო დაგეგმვის შესაბამისი მონაცემებით უზრუნველყოფით, მოიცავს შემდეგ საკითხებს, თუმცა ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება:
 - ნავთობისგან დაცლის უწყვეტი მეთოდოლოგია
 - რისკის შეფასება, დადგრაზე რეაგირების ჯგუფისთვის ადგილმდებარეობის შეტყობინების მიზნით
 - რისკის შეფასება, გაწმენდის პროცესისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის სტრატეგიისთვის.
- რისკზე დაფუძნებული გამოსასწორებელი ღონისძიება დაბინძურების აღსაკვეთად
- ზედაპირული წყლის ხარისხის დაცვა მშენებლობის ფაზაში განხორციელებული HDD მეთოდით გადაკვეთის დროს.

კულტურული მემკვიდრეობა

მარშრუტი წარმოადგენს კამერალური შესწავლის, არქეოლოგიური საველე კვლევისა და ფართო კონსულტაციების საგანს, რათა დადგენილი იქნას ყველა ცნობილი და ერთი შეხედვით შესამჩნევი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ობიექტები. ამ პროცესში გაუმჯობესდა მარშრუტის ირგვლივ არსებული კულტურული მემკვიდრეობის საკითხების შესახებ ცოდნა. ამ სამუშაოების შედეგად განხორციელებული აღმოჩენების საპასუხოდ მარშრუტი ისე იქნა დაგეგმილი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ამ ობიექტების გვერდის ავლა. მიუხედავად ამისა, ESIA ცნობს, რომ მილსადენების მშენებლობის დროს არსებობს სხვა არტეფაქტების ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ობიექტების აღმოჩენის ალბათობა, რომელთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა კამერალური მიმოხილვების და საველე კვლევების დროს. ამიტომ შემუშავდა შემთხვევითი აღმოჩენების იდენტიფიცირების ჩარჩო დოკუმენტი; როგორ უნდა მოხდეს შემდგომი სამუშაოების ჩატარება განისაზღვრება ESMS-ის ფარგლებში.

14.4 განცხადება პროექტის შეფასების შესახებ

ESIA სისტემატურად და სრულყოფილად ამოწმებდა პროექტის ყველა იდენტიფიცირებულ ასპექტს, რაც უკავშირდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების წარმოშობის შესაძლებლობას.

მილსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციას უკავშირდება მთელი რიგი ნარჩენი ზემოქმედება. მიუხედავად ამისა, სათანადო მართვისა (და ზოგჯერ შემდგომი შესწავლა არსებული გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად, რაც უკავშირდება მათ სენსიტიურობას) და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიების გატარების პირობებში, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ანგარიშით, უზრუნველყოფილი იქნება ამ ნარჩენი ზემოქმედებების მართვა.

პროექტის ძირითადი სარგებელი იქნება გეო საფრთხეებით გამოწვეული მილსადენის გაუმართაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური რისკის შემცირება. ასევე, მოსალოდნელია მთელი რიგი პირდაპირი სარგებელი ადგილობრივი დასახლებებისათვის, განსაკუთრებით მშენებლობის დროს, მოკლევადიანი დასაქმების მეშვეობით. დასახლებების განვითარების ინიციატივები, ასევე, სარგებელს მოუტანს ზეგავლენის ქვეშ მყოფ ზოგიერთ დასახლებას.